# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — სამშაბათი, 24 ოქტომბერი 1900 წ. № 1277

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

**წარსული წლების ჟურნალი**

## მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ. — ჟურნალ

## მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელიქი—ყურის, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეჟანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი — სალოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**სადამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

დირექტორი სამკურნალოისი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მ. საფაროვი-აბაშიძის მონაწილეობით

**პირველად ახალი ესპანიური პიესა**

## უ ზ ე დ უ რ ი

დრამა 3 მოქმ. კანო-ი-მაზასისა.

## თავგასზრალია!

ვოდევილი ერთ მოქმედებად, გადმოკ. რუსულიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი და სხვ.; ბატონნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება წარმოსადგენად ლ. მესხის მონაწილეობით „დენიზა“, „ცოხის საიდუმლო“, „ორი ქმარი“ და სხვა. (3—1)

## ახალი ამბავი

—

✦ საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრებაზე 10 ოქტომბერს, სხვათა შორის, დადგინდა გამოიცეს მომავალ წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის აღსანიშნავად **კავკასიის შესწავლის მიმოხილვა გეოგრაფიის მხრივ.** ამ შრომის შესრულება დაევალა საზოგადოების წევრს ბ-ნ ვეიდენბაუმს.

✦ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულს ბუნების მეცნიერების ეტნოგრაფიის და ანტროპოლოგიის საზოგადოებას თავის წევრებად აურჩევია **რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე.**

✦ გუშინ წინ, 22 ოქტომბერს, საღამოს მერვე საათზე, მგზავრთა მატარებელში, მცხეთისა და ავჭალას შუა, უეცრად გარდაიცვალა სატყეო დეპარტამენტის რევიზორი **ალექსანდრე ივანეს მე ბაქრაძე.**

✦ **სამრეწველო გადასახადის** განაწილებისათვის საგანგებო კომისიებმა დააფასონ ფაბრიკები, ქარხნები და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. ამ კომისიებში მონაწილეობა უნდა მიიღონ გადასახადთა ინსპექტორებმა. ხოლო რადგანაც ეს უკანასკნელნი ამ ჟამად მუშაობენ საადგილ-მამულო გადასახადის განაწილებისათვის, ამიტომ სათანადო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას სამრეწველო დაწესებულებათა დაფასება იმ დრომდე, სანამ დასრულდებოდეს მუშაობა საადგილ-მამულო გადასახადის შემოღებისა.

✦ „პეტერბურგ. ვედომოსტს“ სწერენ ქუთაისიდან: „გადასახადის ინსპექტორთა კრება, რომელიც ამას წინად მოხდა ქუთაისში, უმთავრესად იხილავდა მომავალ **საადგილ-მამულო სახელმწიფო გადასახადის** საქმეს. კრებაზე, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ საერთო ჯამი გადასახადისა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ნაკლები იქნება ახალის გადასახადის დაწესების შემდეგ, ვიდრე წინად იყო. უეჭველია, ახალი გადასახადი ნაკლებად შეავიწროებს გლეხ-კაცობას; მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი გადასახადი შემოღებულ იქნება გადამეტებულის სიჩქარით, რაც უთუოდ გამოიწვევს ბევრგვარ შეცდომას ადგილ-მამულების დაფასების დროს; ხოლო ეს შეცდომები ავნებენ გლეხკაცობის კეთილდღეობას, და ამიტომ საჭიროა დააჩქარონ მიწების გამიჯვნა, რაც აუცილებლად საჭიროა საადგილ-მამულო გადასახადის წესიერად განაწილებისათვის“.

✦ დანიშნული კვირისათვის საზოგადო კრება რუსეთიდან **გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების** წევრებისა არ შესდგა, რადგანაც არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი.

✦ რუსეთის მებაღეთა საერთო კრებას გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ გაადვილებულ იქმნას საკითხი **სახალხო კითხვების და ლექციების** წეს-რიგი.

✦ **რუსეთის მებაღეთა მეორე საერთო კრება** მოხდება მომავალ წელს ქალაქ სიმფეროპოლში. იმავე დროს იქ გაიმართება საბაღოსნო გამოფენა.

✦ რუსეთის მწერალთა საზოგადოების საბჭომ ამას წინად შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება დართულ ქმნას **რუსეთის ყველა ლიტერატორთა კრების მოწვევა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. ეხლა, როგორც „მოსკოვსკია ვედომ.“ იუწყება, ხსენებულს საბჭოს გადაუწყვეტია საჩივარი წარუდგინოს ამის შესახებ სენატს.

✦ მომავალს წელს ზაფხულში მოწვეულ იქნება **ტყეების პატრონთა** საზოგადო კრება.

✦ მომავალ დეკემბერში ყველა რკინის გზების სამმართველოებში მოწვეულ იქნება კრებები იმის განსახილველად, თუ როგორ უნდა იქმნას გაუმჯობესებული **ხორბლისა და სიმინდის გადაზიდვა რკინის გზებით.** კრებებში მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მეურნენი.

✦ **საფრანგეთის სააქციონერო საზოგადოებას,** სახელწოდებით— „დარკვეთის მარგანეცის მადნების მწარმოებელთა უსახელო საზოგადოებას“, უთხოვნია სადაც ჯერ არს ნება-რთვა შორაპნის მაზრაში მუშაობის დაწყებისა.

✦ კვირას, 22 ოქტომბერს, აკურთხეს და გახსნეს ხარფუხის ნაწილში **საქალაქო 1-ველ დაწყებითი სასწავლებელი** ა. ს. პუშკინის სახელობაზე დაარსებული.

✦ „კავკაზ“-ში დაბეჭდილ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ ჟამად **ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში** სულ 550 ყმაწვილი სწავლობს; მათგან: ტფილი-

სის გუბერნიიდან—276, ქუთაისის—59, განჯის—45, ერევნის—33, ყარსის ოლქიდან—107, დაღესტნის—1, თერგის—2, ზაქათალის 13, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან—3, კასპიის იქითა მხარიდან—1, პოლონეთის გუბერნიებიდან—1, სპარსეთიდან—4, ოსმალეთიდან—2 და გერმანიიდან—2. ქალაქებიდან ყველაზე მეტი მოდის ტფილისზე, საიდანაც სასწავლებელში 235 ყმაწვილი სწავლობს, შემდეგ გუმბრი—62, ყარსი—45, ერევანი—33, ქუთაისი—31, შუშა—24, ბათუმი—16, განჯა—13, ზაქათალა—13, ოზურგეთი—12, ნუხა—8 და დანარჩენებიდან თითო-ოროლა. ყველაზე მეტი სასწავლებელში სომხებია, სულ—416 ყმაწვილი, შემდეგ ქართველები—35, რუსები—32, ურიები—14, თათრები—14, გერმანელები—8, მთიულები—4 და დანარჩენები თითო-ოროლა.

✦ მთავრობას განუზრახავს დაარსოს ტფილისში მიხეილის სახაზინო საავადმყოფოსთან სკოლა, სადაც ქალებს ფერშლობას ასწავლიან.

✦ „ტფ. ფურცელს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ სამიწად-მოქმედო სამინისტროში აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ მთავრობამ თავის მხრით **სასტიკი ყურადღება** იქონიოს იმ ტყეებზე, რომელნიც დაგირავებულნი არიან სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს ქუთაისიდან სწერენ, რომ **ქართულ სახალხო წარმოდგენების** მმართველს ქ-ნ ეკ. ნიკოლაძეს თხოვნით მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის, რომ კვირაში ორჯელ უფასოდ დაეთმოს მას თეატრის დარბაზი ხსენებულ წარმოდგენების გამართვისათვის.

✦ მომავალ წლის სექტემბერში სრულდება 200 წელიწადი, რაც არსებობს **კიევის სასულიერო აკადემია.**

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს ქუთაისიდან სწერენ, რომ იქ ამ თვის ბოლომდე მოხდება საზოგადო კრება ახლად განზრახულის **მომხმარებელ საზოგადოების „იმედის“** წევრთა კრება. საზოგადოებაში, რომელსაც საგნად აქვს კოოპერაციის წეს-რიგით მოაწყოს პურის ცხობა, ბევრი წევრი ეწერება თურმე.

✦ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართავი სექცია დიდ მადლობას უძღვნის ბ-ნ **ი. იმედაშვილს** რამდენიმე ქართულ წიგნებისა და აგრეთვე პიესების შემოწირვისათვის.

✦ სოფელ სეფიეთში (სენაკის მაზრა), როგორც იქიდან გვწერენ, განუზრახავთ **უფასო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს** გამართვა. ამ კეთილის საქმის დამწყებთ მღვდელს გაბისონიას და მასწავლებელს ბოკუჩავას—კიდეც წარუდგენიათ შუამდგომლობა საცა ჯერ არს ნებართვის ასაღებად და შემოწირულებას აგროვებენ.

✦ ოქტომბრის 1-ლიდან 8-მდე ტფილისში სულ 12 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით;** მათგან: წითელი ქარით—1, დიფტერიტათ—2, ყვავილებით—2, ქუნთრუშით—5 (რომელთაგან 2 კიდეც მომკვდარა), ყივანა-ხველით—1 (მომკვდარა) და კუჭის სახადით—1 (მომკვდარა).

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✕ ერთი იტალიელი ჟურნალის სექტემბრის წიგნში დაბეჭდილია სტატია ჩინურ თეატრზედ. ამ სტატიიდან ვხედავთ, რომ დრამატიული ხელოვნება ჩინეთში ცოტად თუ ბევრად წინ მიდის იმ ქალაქებში მაინც, სადაც იმყოფებიან—ანუ იმყოფებოდნენ აწინდელ კრიზისამდე—ევროპიელთა ახალშენები. ჩინური რეპერტუარის ზოგიერთ ახალ პიესას აზის ცხადი ბეჭედი ევროპიულ გემოვნებისა. თავისებურ ბამბუკისაგან აგებულ შენობებში, სადაც ჩინელები სმენ ჩაის, ეწევიან თამბაქოს და უცქერიან სცენას, ადგენენ ხან-და-ხან პიესებს, რომელთაც არ აკლიათ მხატვრობითი ხელოვნება და რომლებშიაც დასურათებულია ადამიანთა სისუსტე, ისჯება ცოდვა და ჯილდოვდება კეთილი ქცევა. ჩინური კომედია მაღლა დგას დრამაზედ; პირველში ხშირად ბევრი იუმორი შეგხვდებათ, გამოჭყავთ კომიკური ტიპები, ცხოვრებიდან აღებულნი; საუბარი მარტივია, გაუზვიადებელი. დრამა კი პირიქით თითქმის ყოველთვის მძიმეა; მოქმედნი პირნი ლაპარაკობენ მისანთა ენით, დრამის დასასრულს არა იშვიათად არაგული ხასიათი აქვს. ჩინური კომედიის ტიპად ჩავარდება «ძუნწი»,—ჩინელებსაც აქვთ პიესა «ძუნწი», რომელიც არ ჩამოუვარდება თავის ამხანაგებს მოლიერისას და გოლდონის პიესებს. იტალიურ ჟურნალში მოყვანილია ამ კომედიიდან ერთი სცენა, როგორც ნიმუში ჩინური სატირისა. პიესის გმირი კუ-ინი, ძრივი ბერიკაცი, სიკვდილს მიწვეული, არაქათ გამოცლილი, ესაუბრება თავის შვილად აყვანილს ვაჟსა.

ვაჟი:—მამავ, რატომ არას მიირთმევ?

ძუნწი. იმისგან კი არა ვარ, შვილო, ავად, რომ ცოტას ვსჭამ, ძალიან გამაჯავრეს და იმაზედ ვარ უქეიფოდ. ამ დღეებში ძალიან მომინდა შემწვარი იხვი—სწორედ ნამდვილად ვყნოსდი მის სუნსა—და ბაზარში წაველ. იქ, ქვევით, იმ დუქანში, რომელიც შენ, დარწმუნებულავ, კარგად იცი, იწოდა მსუქანი იხვი, რომელსაც ქონი წვეთ-წვეთი სდიოდა. დიდხანს არ ვიფიქრე, ხელში ავიღე, რომ უფრო ახლო გამესინჯა ვითომ, და ხუთივე თითით მაგრად ჩავბღუჯე, რომ კარგად გაქონილიყვნენ თითები. ისევ თავის ადგილას დავდე, რაღა თქმა უნდა, არ ვიყიდე და გამოვეშურე შინისკენ. შინ უბძანე, რომ მოერთმიათ ჩემთვის ბრინჯი, უბრალოდ მდუღარე წყალში გათუთქული და რამდენსაც კოვზს ბრინჯს შევჭამდი, იმდენჯერვე ერთ-ერთ თითს ვიწუწნიდი. მეოთხე თითიც რომ გავიწუწნე, ჩამთვლიმა და სკამზედ მიმეძინა. აბა გამოიცან, რა მოხდა შემდეგ!.. ძილის დროს ძაღლი მომიპარადა და მეხუთე თითი წმინდად სულ გაელოკნა. გამომეღვიძა. როცა ვნახე, თუ რა დიდი ზარალი მოუყენებინა ჩემთვის ამ პირუტყვს, ისეთი ბრაზი მომერია, რომ ავად გავხდი. ჩემი სატკივარი დღითი დღე ძრიელდება და ვგრძნობ, შვილო, რომ მალე მოვკვდები

შვილი. მეტის მეტად უფრთხილდები ფულებს, მამავ.

ძუნწი. ნუ მაყვედრი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წამებში. ისა სჯობია, მითხარი, როგორ დამასაფლავებ?

შვილი. თუ ეგეთი უბედურება მეწვევა, რომ მამა ჩემი მკვდარი ვნახო, მაშინ ჩავსდებ მის უსულო გვამს უკეთეს და უმდიდრეს ნაძვის კუბოში, როგორსაც კი ვიშოვნი.

ძუნწი. ნუ ჩაიდენ მაგისთანა სისულელეს. ნაძვის ხე მეტად ძვირია. ვინ გაარჩევს ნაძვს დგნალისაგან, როცა კუბოში ვიწვები. აბა ნახე, იქნება ჩვენ თავლაშიაც ეგდოს ძველი გარცლი. ამისთანა ჭურჭელი უფრო გამოსადეგი იქნება ჩემი საცოდავი ნაშთისათვის.

შვილი. რას ამბობ, მამავ? ჭკობდავ! შენ მაღალი ტანისა ხარ, და აბა, სად დეეტევა გარცლში შენი გვამი?

ძუნწი. ამასაც აქვს თავის წამალი. თუ ისეთ გრძელ გარცლს ვერ იშოვი, მაშინ გასჭერი ჩემი გვამი შუაზედ და ერთი ნახევარი მეორეზედ დადე. მხოლოდ, ყური უგდე, რომ ცული მჭრელი იყოს! ვისმე მეზობლისა სთხოვე.

შვილი. რად უნდა ვსთხოვო? ჩვენ თითონაც კარგი ცული გვაქვს.

ძუნწი. შენ არ იცი, რა მაგარი ძვლები მაქვს. თუ ცული გატყდა, ცოტა კი არ წაგვივა იმის დაპირვაზედ.

შვილი. კარგი, შენს ნებას შევასრულებ. ეხლა ნება მიბოძე წავიდე ტაძარში და ღუნდრუკი უკმიო ღმერთებს. იქნება იმათ წყალობა მოიღონ და კიდე ხანგრძლივი სიცოცხლე მოგანიჭონ.

ძუნწი. არაა საჭირო, რად გინდა ეგა. ძალიან ძვირადაც ეღირება.

შვილი. მე შეთქმული მაქვს და მოვალე ვარ ავასრულო კიდეც.

ძუნწი. ჰო! შენ შეგითქვამს ჩემი დაუკითხავად!.. აი, აჰა გროში.

შვილი. ეგ ცოტაა.

ძუნწი. აჰა, ორი.

შვილი. არც ეგა კმარა.

ძუნწი. არა, სრულიად საკმარისია!.. სულაც აღარაა საჭირო საკმეველი. გვიანღაა! ახლო მოდი ჩემთან, შვილო. ვატყობ, რომ მოატანა ჩემმა აღსასრულის წამმა.

✕ გერმანულ გაზეთებში მოყვანილია მეტად საყურადღებო წერილები გერმანელ ჯარის-კაცებისა ჩინეთიდან ნათესავებთან მოწერილი. აი, მაგალითად, რას იწერება ახალგაზდა ჯარის კაცი ჩინეთიდან:

«ისე ვბეჟავთ ჩინელებს, რომ იმათ მთელი თავიანთ სიცოცხლე ეხსომებათ გერმანელი ჯარის-კაცები. უკვე ნაშუადღევის ორი საათიდან ვჩხრეკავთ უკელა სოფლებს, რომ ვიპოვოთ მათში იარაღი. სამწუხარო ბედი მოელის ჩინელებს, რომელნიც ჩვენ ხელში გვივარდებიან. ჩვენ იმათ ვცემთ არა თუ მხოლოდ მუშტებით, არამედ ყოველ მათგანს უთავაზებთ ხოლმე ხარის ძარღვებისაგან გაკეთებულს ჯოხის ორმოც-და-ათ დარტყმას. ამისთანა წამების შემდეგ ერთის სიტყვის თქმასაც ვეღარ შეიძლებენ ხოლმე. დასასრულ, მოვაჭრით ხოლმე ნაწნავებს მათივე ხმლებით».

მეორე ჯარის-კაცი იწერება ტიანძინიდან 22 აგვისტოს რიცხვით:

«უკელაფერი მიეცა ოხრებას. სოფლები გადამწვარია, დედამიწაზედ ჰყრიან მხოლოდ გვამები, რომლებსაც ჰღრღნიან მაწანწალა ძაღლები. იმ ცოტა-ოდენ ჩინელებს, რომლებიც გადარჩნენ ამოწყვეტას, ჩვენ ვაჯაფავებთ, რაც ძალი და ღონე აქვთ, თანაც ბამბუკის ჯოხებით ვატანთ ძალასა. გუშინ წინ ჩვენ ძალით ვამუშავეთ ჩინელები მათი თოფით დახვრეტის უკანასკნელ წუთამდე. ამ კვირას ჩვენ დავხვრიტეთ 60 კაცი. მდინარე პეიხო სავსეა გვამებით».

აი ესაა ის ტურფა ცივილიზაცია, რომელსაც ევროპა ჰნერგავს ჩინეთში. «ჩვენ, გერმანელებს, არავისი გვეშინიან, გარდა ღვთისა»—სთქვა იმპერატორმა ვილჰელმმა. არა, გერმანელებს ღვთისაც არა ჰშინებიათ.

«ფორტნაიტლი რევიუის» უკანასკნელ წიგნში ჩინეთის საზღვაო საბაჟოების მთავარ გამგებელს სერ რობერტ-ჰარტს დაუბეჭდია სტატია ჩინეთის აწინდელი კრიზისის თაო-

ბაზედ. დასასრული წერილისა, რომელიც შეეხება ჩინეთის იმპერიის მერმისს, ღირსია ყურადღებისა. რობერტ-ჭარტი სწერს შემდეგს:

«ჩინელები ამაყობენ თავიანთ დაწესებულებებით და ზიზღით უყურებენ უცხოელებს. არავითარ ხელ-შეკრულობებს არ შეუძლიანთ შესცვალონ ეს გრძნობები; ისინი მხოლოდ უფრო გაამწვავებენ მათ. ჩინეთის გაყოფა ფაქტიურად შეუძლებელია. შეუძლებელია ეგრეთვე ახალი დინასტიის აყვანა ჩინეთის ტახტზედ, რადგანაც არაა ისეთი პირი, რომელზედაც ჩინელები თანახმანი გახდებიან იცნან თავიანთ იმპერატორად. თუ კიდევ დაიწყებენ ამისთანა პირის ძებნას, სანამ მას იპოვნიან, მთელი იმპერია სრულ ანარქიას მიეცემა. ერთად-ერთი საშუალება კრიზისის მოსპობისა არის—დამტკიცება ეხლანდელი მმართველი დინასტიისა. მაგრამ არც იგი გვპირდება ბევრს რასმეს გასახარისა მომავალში. ჩინეთს სთვლემდა, სანამ მას ეს დაუშალა ვინმემ. ეხლა კი ჩინელთ გაიღვიძეს და სწამთ მხოლოდ ერთი ლოზუნგი: «ჩინეთი—ჩინელებისათვის და განდევნა უცხოელებისა.» მოკრივეთა მოძრაობა მოხდა ოფიციალურ წრეების დახმარებით. თუ მოკრივეების ეხლანდელმა მოძრაობამ ვერ გაიმარჯვა სავსებით, მან მაინც დაამტკიცა, რომ მთელი ჩინეთი დიდის ხალხით გაჰყვება მხნე და გამბედავს წინამძღოლს, როცა იგი აღმოჩნდება. მომავალში მოკრივენი შეიძენენ უკეთეს და პირველ ხარისხოვანს იარაღს. უმთავრესი მათი საგანი არის ქრისტიანობის მოსპობა ჩინეთში და შეშინება უცხოელებისა, რათა გამოაძეონ ესენი თავიანთ სამშობლოდან. ამ ლედა-აზრების განხორციელების გულისთვის მომავალი თაობები ჩინელებისა გულადად იბრძოლებენ და ხელში უკეთესი იარაღი ეკავებათ. სახელმწიფოებმა რომ ჩინეთი გაჰყონ, მაშინ იქნება თავიდან აიცილონ დიდი «ყვითელი საფრთხე», რომელიც მომავალში მათ აუცდენლად ემუქრის. ორმოც და ათი წლის შემდეგ ჩინეთის მთავრობა მილიონობით გამოიყვანს მშვენივრად გაწვრთნილ და შეიარაღებულ მოკრივეებს,—ამაში ნამცეცი ეჭვიცა. არ არის არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ იმაზედაც, რომ ჩინეთის ყოველი მთავრობა ხელ-შეუწყობს ყოველთვის მოკრივეების მოძრაობას, რომელიც ჩინეთში მიაჩნიათ ეროვნულ, მამულიშვილურ მოძრაობად. ერთად-ერთი ნამდვილი საშუალება ამის წინააღმდეგ არის—გაყოფა ჩინეთისა, ანუ გაძლიერებული გავრცელება ქრისტიანობისა. სამწუხაროდ, საქმით, როგორც ერთი, ისე მეორე აუსრულებელია. მაშასადამე, რჩება მხოლოდ ისღა, რომ მხარი მივცეთ ეხლანდელ დინასტიას, ვიკავშიროთ ჩინეთთან, რაც კი შეგვიძლიან სავსებით და მხოლოდ ჩვენ შვილებს და შვილი-შვილებს უანდერძოთ დიდებული ომი ამ უზარ-მაზარ იმპერიასთან.»

# თეატრი

**სახალხო წარმოდგენა.** კვირას, 22 ოქტომბერს, სახალხო კითხვათა სადგომში ქართულ წარმოდგენების სექციამ, ბ-ნ კ. შათირიშვილის რეჟისორობით, გამართა სახალხო წარმოდგენა. დადგმულ იქმნა მეორედ ამ სეზონში ცნობილი მელოდრამა „პარიზელი ღატაკნი“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ხალხს ძალიან მოეწონა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ.ქ-მა—აფხაზიშვილისამ, თ. ქუჩუკაშვილისამ, აბაშიძისამ, და ჯავახიშვილისამ, ბ.ბ.-მა—ვ. ურუშაძემ, იმედაშვილმა, ი. ევდოშვილმა, ანანიაშვილმა, შროშელმა, ნ. გოცირიძემ, ყალაბეგაშვილმა, ივანიძემ და ჯანაშვილმა. ქალებს ვურჩევთ, უფრო ხმა მაღლა ილაპარაკონ, თორემ უკანასკნელ რიგებში მათი ხმა ცუდათ ისმოდა. წარმოდგენების გამგეთ კი ვუსაყვედურებთ, რომ ანტრაქტები დიდი იყო და ხალხს არც მუსიკით, არც სიმღერით, არც დუდუკით არ ართობდნენ, როგორც წინად ყოფილა ეს.

—

**სათავად-აზნაურო თეატრი.** პარასკევს დანიშნული და ელექტრონის ჩაქრობის მიზეზით გადადებული რუსული წარმოდგენა შესდგა კვირას, 22 ოქტომბერს. წარმოდგენილ იქმნა გუცკოვის ცნობილი დრამა, „ურიელ აკოსტა“. მშვენიერი იყო ბ-ნი დალსკი აკოსტას როლში, ნამეტურ იმ ადგილებში, სადაც მრისხანებას ჰხატავდა. დანარჩენ არტისტებიდან უნდა აღვნიშნოთ ქ.ბ-ნ თუმანოვისა, რომელმაც გრძნობით აღასრულა ივდითის პატარა როლი. ხალხი წარმოდგენას ბოლომდე დაესწრო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**23 ოქტომბერი**

**იალტა.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე აბრძანების დღე იალტაში იდღესასწაულეს დიდის ამბით ხალხი. აუარებელი იყო ეკკლესიებში, სადაც გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისები. ცხრა დღის უამინდობის შემდეგ მშვენიერი დარი დაიჭირა; ყველგან დიდი მოძრაობა ჰსუფევდა; ღლისით გემებიდან გაისროლეს ზარბაზნები და სალამოთი ნავთსადგური გაჩირაღდნებული იყო. ახლო მდებარე აგარაკები და მთები გაჩირაღდინებული იყო. მეტად დიდი აღტაცება გამოიწვია სახლში შუშხუნამ, რომელმაც ფერად ცეცხლებით გამოხატა მათი იმპერატორებით უდიდებულესობათა სახლები, და მუზიკისაგან საერთო ჰიმნის აღსრულებამ.

**პარიზი.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბრძანების დღესასწაულის დღეს, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, პავლე ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმერის ძე და მიხეილ მიხეილის ძე, ჰერცოგები ევგენი და გიორგი მაქსიმილიანეს ძენი ლეიხტენბურგები.

**ლიონი** ლუბე წაიდა პარიზში.

**ლონდონი.** პეკინიდან იუწყებიან, რომ გამოქვეყნდა იმპერატორის ედიქტი, რომელშიაც გამოცხადებულია ღრმა მწუხარება გერმანიის ელჩის კეტელერის მოკვლის გამო; ეს ბოროტება, ამბობს ედიქტი, სასაცილოდ იგდებს იმპერატორს განზრახვებს. ჰფიქრობენ, რომ ედიქტი გამოწვეულია შიშით ევროპიელებმა ასე სასტიკად აღარ მოიქცნენ შემდეგში, როგორც პაოტანფუში.

ვალდერზეემ დაამტკიცა განაჩენები, რომლებითაც მიესაჯა სიკვდილით დასჯა პაოტანფუში დატუსაღებულ მოხელეებს. ჰფიქრობენ, რომ განაჩენები საბოლოოდ გამოცხადებულ იქმნებიან ამ თვის დამლევამდე.

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

—

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** გახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კოროლცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონეს ტიზენგაუზენის და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კოროლცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანა დასწრებით, 28 ოქტომბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზე,

## დაინიშნულია

# საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ანასტასიევისა და ახალი ეორდანოვის ქუჩების მოკირწყვლა პოლიციის 1 ნაწილში—საგრძით 229,03 საჟენი სულ—1432 მ. 60 კაპ.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

---

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატნიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვავი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვლის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.
ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე, ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე რეინეკე კუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ..
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები გეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი ძაღლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მძური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მაძიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.
გოგებაშვილი ი. დედა-ენა ყდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ბანჯგლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუამანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ცისკ. თარგ. 5 კ.
ნხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-ძ XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტუღუკაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. ძირითადი უკუღმართობა. 20 კ.

---

გამომც. გ. ბუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.